

მულტიკულტურული განწყობები საქართველოში

მარიამ კოკაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანუკა კირვალიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - მულტიკულტურული განწყობები საქართველოში - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ კოკაური

22 ივნისი 2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი „მულტიკულტურული განწყობების საქართველოში“ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის საკვლევი თემა შერჩეულია ჩვენი საზოგადოების ისეთი რელობის გათვალისწინებით, როგორცაა მულტიკულტურული ურთიერთობის სიმწვავე ქვეყანაში და მდიდარი ეთნო-კულტურული პალიტრა საქართველოში. ვინაიდან საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო ეთნიკური უმცირესობების თემა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ყოველთვის იყო ეროვნული სულისკვეთებით და ტრადიციების დაცვის მოტივით განმსჭვალული ეთნო კონფლიქტები.

ხოლო მეორეს მხრივ მულტიკულტურული გარემოს მრავალფეროვნება გარკვეულწილად ცვლის მანამდე არსებულ საზოგადოებრივ მოსაზრებებს და განწყობებს. თაობათა ცვლასთან ერთად განსხვავებული ხდება წარმოდგენები სხვადასხვა ეთნოსის მიმართ.

ნაშრომში შეფასებულია საზოგადოების ეთნო-კულტურული სპექტრის რაოდენობრივი და თვისობრივი სიჭრელე. შესწავლილია აქამდე ჩატარებული კვლევის მონაცემები ეროვნებათშორის ურთიერთობების შესახებ და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომს საინტერესოს ხდის თეორიული მასალის და ჩატარებული პრაქტიკული კვლევების სინთეზი. ერთის მხრივ ნაშრომის თეორიული ნაწილი საშუალებას იძლევა იმ ინსტრუმენტების და მეთოდების გაცნობისა, რითიც შეიძლება შეფასდეს ინტერკულტურული სენსიტიურობა, ხოლო მეორეს მხრივ პრაქტიკული კვლევები იძლევა არსებული რეალობის ნათელ სურათს.

Abstract

The presented research “Multicultural feelings in Georgia” is performed to get the Master’s degree in Sociology. The study issue of the research is based on the current situation in Georgian civil society.

Generally, Georgia is a quiete multicultural and multiethnic country with high level of tolerance. Below study applyies to the actual problems of our reality, such as negative or positive feelings of society couosed by multithnical differences, religious diversity and linguistic interuptions. Georgian society and culture was always in good relations with other ethno-culturs and integration process was always in harmony. But multicultural structure of society was always variable and feeling were different according to the period and generation.

Currents study of multicultural feelings in Georgia refers to actual rality and analyses current researches of society. The research analyses rich theoretical and quantitative datas, statistical informations and sociological researches with multiethnical target groups. The study practically researches multicultural feelings and makes important conclusions.

In the first part of the study there is analised theoretical datas which explains the methods of researching the study issue. The second part of study refers to actual analise of current situation and emphasizes the actuality of the problem study. Also there is analised some carried out researches in Georgia throw the last years about the issue and appropriate conclusions were made.

In the last chapter there are results of sociological research which was implemented within the project aims. The research was made with four ethnical target groups: Azerbaijan, Armenian, Iran, Africian, Georgian. According to the results of research there are made conclutions about negative and positive fillings of multicultural society.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, ჩემ სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ანუკა კირვალიძეს, რომლის მაღალი პროფესიონალიზმით გაჯერებულმა მოსაზრებებმა და რჩევებმა დიდი წვლილი შეიტანა სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში. მასთან მუშაობის პროცესმა კი დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინა.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორს ბატონ ზვიად დარჩიაშვილს, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა სტუდენტებთან მეგობრული ურთიერთობით და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იგრძნობა მისგან.

დიდ მადლობას ვუხდის ჩემ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს, მათი დაუზარელი და გულწრფელი ინტერვიუები მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ნაშრომის ანალიტიკური ნაწილისთვის.